

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ კონკურსის მეშვეობით ბორჯომის იუსტიციის სახლის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით შექმნილი კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 5

ქ. თბილისი

13 იანვარი, 2015 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

ირაკლი ლომიძე

სატენდერო კომისიის წევრები:

მალხაზ ოსაძე, ვასილ ჯანჯღავა,
გიორგი ტაბიძე, კობა ხუბუნია,
ბესიკი ფოფხაძე, ნინო ინწვირველი, ოლეგ
დოლიძე.

სატენდერო კომისიის აპარატის
წევრები:

მალხაზ ტაბლიაშვილი,
ლაშა ბოკუჩავა.

დღის წესრიგი: ბორჯომის იუსტიციის სახლის საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2014 წლის 03 დეკემბერს გამოცხადებულ #1433 კონკურსში კონკურსანტების მერ წარმოდგენილი წინადადების საკონკურსო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა და განხილვა.

მოისმინეს: კომისიის წევრის, ნინო ინწვირველის გამოსვლა, რომელმაც საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ შპს „MHD group“ - კომპანიის მიერ წარმოდგენილი დასახელებული საკონკურსო წინადადების ღირებულება წარმოდგენილია შემსყიდველის მიერ დადგენილი „საკონკურსო პირობების“ 1.9 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევით. კერძოდ, არ მოიცავს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ექსპერტის დასკვნის მოსამზადებლად აუცილებელ ხარჯებს. აღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიმაჩნია კონკურსანტი შპს „MHD group“ დისკვალიფიცირებულ იქნეს კონკურსიდან.

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1. დადასტურებულად იქნეს მიჩნეული კომისიის წევრის, ნინო ინწვირველის მიერ გამოთქმული მოსაზრება შპს „MHD group“-ის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადების ღირებულებასთან დაკავშირებით და დისკვალიფიცირებულ იქნეს კონკურსიდან;
2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს აცნობოს „MHD group“-ს კომისიის გადაწყვეტილების შესახებ.

კომისიის წევრმა, ნინო ინწვირველმა საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ შპს „ოპტიმუსი“-ს მიერ წარმოდგენილი წინადადება და დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებს, გარდა გამოცდილების „საკონკურსო პირობების“ 1.12 პუნქტით

გათვალისწინებული მოთხოვნისა - კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 6 წლიანი გამოცდილება საპროექტო მომსახურების სფეროში. აღნიშნულთან დაკავშირებით შპს „ოპტიმუსი“-ს მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში მითითებულია, რომ მათი კომპანია დაფუძნებულია 2012 წლის აპრილში. კომისიის წევრმა, ვასილ ჯანჯღავამ კომისიას მოახსენა, რომ კონკურსანტის, შპს „ოპტიმუსი“-ს მიერ წარმოდგენილ ინფორმაციაში გამოცდილების შესახებ დასახელებულია ცხრა პროექტი, რომელთა უმეტესობა დასრულებულია (რეალიზებულია), ხოლო დანარჩენზე მითითებულია, რომ მიმდინარეობს მშენებლობა. ასევე აღსანიშნავია, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის დაკვეთით შპს „ოპტიმუსი“-ს მიერ უკვე განხორციელებულია რამდენიმე საპროექტო სამუშაო და მათ მიერ შექმნილი პროექტების ხარისხი მაღალია. კომპანიაში დასაქმებულია კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთა სამუშაო გამოცდილება უმეტეს შემთხვევაში მნიშვნელოვნად სცილდება 6 წლიან სტაჟს, რაც იძლევა შესაძლებლობას შეფასებულ იქნეს კონკურსანტი ორგანიზაციის გამოცდილება, დასაქმებული პირების კვალიფიციურობის შესაბამისად, ვინაიდან კომპანიის რეალური გამოცდილება ამ პირების კვალიფიციურობით და გამოცდილებით ფასდება. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ესკიზური პროექტი სრულად ასახავს საკონკურსო პირობით განსაზღვრულ ამოცანას ვიზუალური თვალსაზრისით. ესკიზური პროექტის შესაბამისად შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ჯამური ღირებულება (1 700 000 ლარი), მნიშვნელოვნად მცირეა საკონკურსო პირობების 1.15 პუნქტით გათვალისწინებული ესკიზური პროექტის შესაბამისად შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების სავარაუდო ჯამური ღირებულებისაგან (2 200 000 ლარი). მიმდინარე კონკურსით გათვალისწინებული ბორჯომის იუსტიციის სახლის დროული მშენებლობა მნიშვნელოვანია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით. პროექტის შემუშავების პროცესის გახანგრძლივება მნიშვნელოვნად დააზარალებს დასახელებულ სიკეთს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიმაჩნია შპს „ოპტიმუსი“-ს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია გამოცდილების შესახებ მისაღებად იქნეს ცნობილი, მიუხედავად საკონკურსო დავალების მოთხოვნისა ექვს წლიანი გამოცდილების შესახებ.

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1. გათვალისწინებულ იქნეს კომისიის წევრის ვასილ ჯანჯღავას მიერ გამოთქმული მოსაზრება შპს „ოპტიმუსი“-ს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია გამოცდილებასთან დაკავშირებით მისაღებად ცნობის შესახებ;
2. საკონკურსო კომისია გადავიდეს ინდივიდუალური შეფასების ეტაპზე.


საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებული კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, საკონკურსო კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად შედგენილი წერილობითი დასკვნის საფუძველზე შეფასების შემდგომ კომისიამ დაადგინა:

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:

1. კონკურსში გამარჯვებულად იქნეს გამოვლენილი შპს „ოპტიმუსი“.
2. უზრუნველყოს კომისიის აპარატმა წინამდებარე ოქმის დაუყოვნებლივ გაგზავნა, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.procurement.gov.ge გამოსაქვეყნებლად contest@procurement.gov.ge ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

3. მოწვეულ იქნეს შპს „ოპტიმუსი“ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

კომისიის თავმჯდომარე:



/ირაკლი ლომიძე/

კომისიის წევრი:




/ვასილ ჯანჯღავა/

კომისიის წევრი:



/მალბაზ ოსაძე/

კომისიის წევრი:



/კობა ხუბუნია/

კომისიის წევრი:



/გიორგი ტაბიძე/

კომისიის წევრი:



/ზვიადი ვაშაძე/

კომისიის წევრი:



/ნინო ინჯირველი/

კომისიის წევრი:



/ოლეგ დოლიძე/